

„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჭადრაკის ფედერაციის

პრეზიდენტი

სალომე მელია

საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ქეთევან მუხაშარიას მემორიალი
ქალთა ტურნირი

ქ. ბათუმი, 07.03.- 11.03.2022 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების ადგილი: მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, მის: კ. გამსახურდიას 37

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები, რომელთა სიაც განისაზღვრება დანართი 1-ით.

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 15 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 10 წამის დამატებით.

თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები

გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:

<https://forms.gle/AbNDvWUERiBYL1zE8>

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2022 წლის 7 მარტი, 18.00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ტურნირის განრიგი:

| | | |
|------------------|----------|-----------|
| ჩამოსვლის დღე | 07 მარტი | |
| I ტური | 08 მარტი | 15:30 სთ. |
| II ტური | 08 მარტი | 16:15 სთ. |
| III ტური | 09 მარტი | 15:30 სთ. |
| IV ტური | 09 მარტი | 16:15 სთ. |
| V ტური | 10 მარტი | 15:30 სთ. |
| VI ტური | 10 მარტი | 16:15 სთ. |
| VII ტური | 11 მარტი | 14:30 სთ. |
| დახურვა | 11 მარტი | 15:00 სთ. |

საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან 10 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩათვლება წაგება.

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩათვლება წაგება.

გამარჯვებულები: - I, II, III საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები, აჭარის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო ჩემპიონი აგრეთვე თასით. ასევე, ტურნირის ყველა მონაწილეს გადაეცემა სამახსოვრო საჩუქარი.

კოვიდ 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 2 -ით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია